ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
"ემბავუდ ჯორჯია" - სა და
თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი „ 20 " ნოემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, „ ემბავუდ ჯორჯია ", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სენან ომაროვი, და მეორე მხრივ, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის - ქ-ნი ნონა გელიტაშვილის სახით, აცნობიერებენ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, და გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს „უნივერსიტეტში" „ემბავუდ ჯორჯია"-ს მიერ მიწოდებული, დასაქმებასთან დაკავშირებული სარეკლამო ბუკლეტების, ვაკანსიების (შემდგომში „ინფორმაცია") განთავსება/გავრცელებასა და „ემბავუდ ჯორჯია"-ს მიერ დაინტერესებული „უნივერსიტეტის" სტუდენტების დასაქმებას გამოცხადებული კონკურს(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 ,,უნივერსიტეტი":

2.1.1 გამოყოფს 1 წლის ვადით ფართს, „ემბავუდ ჯორჯია"-სთან შეთანხმებული დროის კონკრეტული (წინასწარ შერჩეული) მონაკვეთით, სადაც „ემბავუდ ჯორჯია"-ს შეეძლება დაგეგმოს და ჩაატაროს ერთობლივი ტრენინგები, განათავსოს ვაკანსიები, სარეკლამო ბუკლეტები და ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.

2.1.2 უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის „ემბავუდ ჯორჯია"-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელ-ფოსტის და თავისი საიტის (www.thu.edu.ge) მეშვეობით „ემბავუდ ჯორჯია"-ს მიერ „უნივერსიტეტისათვის" შესაბამისი ვაკანსიების წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

2.2 ,, ემბავუდ ჯორჯია":

2.2.1 „უნივერსიტეტის" სტუდენტების მიერ შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ სტაჟირებას და პრაქტიკას (15 სტუდენტი სემესტრში) „ემბავუდ ჯორჯია"-ში.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ. თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი

სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშობა, ასეთ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

3.2 მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

3.3 მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს რომელიმე მხარის მხრიდან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან 1 თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების დროისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

3.4 ცვლილებები მემორანდუმში საჭიროებს მხარეთა თანხმობას და სრულდება წერილობითი ფორმით.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თბილისის „უნივერსიტეტი“	„ ემბავუდ ჯორჯია“
ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	
საიდენტიფიკაციო N 206046045	საიდენტიფიკაციო N 204379975
მის.: 0144, თბილისი, ზერი გაბრიელ	მის.: ქ. თბილისი;
სალოსის გამზირი №31	მარნეულის ქუჩა №37
ტელ.: (+995 32) 254 59 08,	ტელ.: (+995 32) 240 29 88
(+995 32) 254 59 09, (+995 32) 255 24 24	ფაქსი.: (+995 32) 240 29 88
ფაქსი.: (+995 32) 254 59 09	
ელ-ფოსტა: ngelitashvili@thu.edu.ge	

.....

(ნ. გელიტაშვილი,
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის
ფაკულტეტის დეკანი)

.....

(გენერალური დირექტორი)